

მეწყემსი

1883-1888

«მეწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რაცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მეწყემსი»	«მეწყემსი» რუსული გამოცემით
12 თვეით 5 მან.	12 თვეით 6 მან.
6 — 3 —	6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кіевѣ, въ редакцію „Мікемси“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.


სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რა მდგომარეობაშია ღმრს ჩვენს მხარეში სწავლის საქმე?

როცა ჩვენი ხალხის ცხოვრებას აკვირდები და მის უოფა-ცხოვრებას იკვლევ, ყოველ ნაბიჯზე შენ გეხდებიან სამწუხარო ფაქტები, რომელნიც გულის გიწყლიავენ და იმედს გიკარგვენ ჩვენი ხალხის კარგს მომავალზე. მაგრამ ამავე დროს ჩვენს ხალხში უხედავთ ერთ სასიხარულო მოვლენას—სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებას, რომელიც გვაიმედებს, რომ ჩვენი ხალხი შემდეგში წინ წაიწევეს გონებით, ზნეობით და ნიეთიერის მხრით. ჩვენში ღღეს დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი ყველანი სწავლისადმი მიისწრაფებიან. ჰველას უნდა, რომ თავის შვილს სწავლა-განათლება მიალეზიოს. მშობლები უკანასკნელს გროშს არ იშურებენ თავიანთი შვილების გამოზრდისათვის. მართი სიტყვით სწავლისადმი მისწრაფება ჩვენს ხალხში ისე ძლიერია, რომ ხალხი არავითარიმე ხარჯს არ ერიდება, ოღონდ თავიანთ შვილებს სწავლა-განათლება მიალეზინოს, თუმცა უმეტეს ნაწილს მშობლებისას ხარჯი უბრალოთ ეკარ-

გებათ, ნიეთიერად ღარიბდებიან და ხშირად მათი შვილები, ნაცვლად სწავლა-განათლების მიღებისა, სასწავლებლებიდან გონებით და ზნეობით დამახინჯებულნი გამოდიან. იუ რამდენად ძლიერია ჩვენს ხალხში სწავლის მიღების სურვილი, ამას ყველა ცხადათ დაინახავს ყოველი წლის აგვისტოს უკანასკნელს და სექტემბრის პირველს რიცხვებში, როცა ჩვენს სასწავლებლებში იწყება მისალები და განმეორებითი ეკზამენები: ამ დროს ჩვენი სასწავლებლები მთლად გატენილნი არიან პატარა ყმაწვილებით და მათი მშობლებით. ზოგ მშობლებს მოჰყავთ შვილები, რომ სასწავლებელში მიალეზინონ, ხოლო ზოგს მოჰყავს შვილები, რომელნიც უკვე მიღებულნი არიან სასწავლებელში, მაგრამ რომელიმე საგანში განმეორებითი ეკზამენი აქვს და დანიშნული. როგორც პირველნი, ისე მეორენი დალონებულნი სდგანან და მოუთმენლად მოელონ სასწავლებლის მთავრობისაკან განაჩენის გამოცხადებას. მშობლები დალონებულნი არიან და ან კი როგორ არ დალონდენ და გულის ძკერით არ მოელოდნენ, როცა მათ უკანასკნელი შეძლება დაუხარჯავთ შვილების მოსამზადებლად! მანა ხუ შრობა საქმეა 200 მანეთის მიცემა სასწავლებლისათვის ორ კვირაში, რომ შვილ-



მა შეიძლოს განმეორებითი ეკზამენის დატერა რომელიმე საგანში! მა ასეთი შემთხვევები ხომ ბევრია ჩვენში დღეს! პი გათავდა მისაღები და განმეორებითი ეკზამენები. სადაც არის მშობლებს გამოუცხადებენ სასწავლებლების პედაგოგიურ კრებათა განაჩენს. პი კიდევ გამოუცხადეს, თუ ვინ მიიღეს, ვინ გადაყვანეს შემდეგ კლასში და ან ვის ეთქვა უარი. პი სწორეთ ეხლა იწყება ტიპილი და ღჭჭუნა კბილთა! ზოგი მშობელი განარებულთა, რომ მისი შვილი მიიღეს, ანუ განმეორებითი ეკზამენი კარგათ მისცა და შემდეგ კლასში გადავიდა, მოწიწებით უკრავს თავს სასწავლებლის უმფროს და სახლში განარებული ბრუნდება; სხვანი გამოუთქმელ მწუხარებას ექლევინან და ცრემლები მოსდისთ თვალებზე. ამ უკმაყოფილო მშობელთა შორის შეიქნება ერთი მითქმა-მოთქმა ჩასწავლებლებზე, სასწავლებლის მთავრობაზე, რომელიც, ვითომც, ზოგს კარგად ექცევა და ზოგს სრულებით არ იბრალებს და ყურადღებას არ აქცევს, ზოგიერთების შესახებ მტკიცედ ასრულებენ კანონებს და ზოგიერთთათვის კანონები არც კი არსებობენ. «რისთვის თხოულობენ მასწავლებელნი, რომ შვილები მაინცა-და-მაინც მათთან დავაყენოთ? რატომ ერთნაირად არ მოქმედებს კანონები ყველა სასწავლებლებში?»

ხალხის ამ მითქმა-მოთქმაში და საჩივრებში ხშირად გაიგონებს კაცი იმასაც, რომ სასწავლებლების მთავრობას ვითომც არა სურდეს, რომ ძათმა შვილებმა ისწავლონ რამე, და ვითომ, ამიტომ სულ უბრალო მიზეზებისა გამო რიცხვენ ყმაწვილებს სასწავლებლებიდან. ასეთი მითქმა-მოთქმა ხალხისა ჰჰადავს კაცში შემდეგ კითხვას: რა აიძულეას ხალხს, რომ იგი ასე ურიგოდ იხსენებს სასწავლებლების უმფროსებს, მასწავლებლებს და აღმზრდელთა?

რა მიზეზი უმლის ხელს მოსწავლეებს, რომ მათ სწავლა დაამთავრონ სასწავლებლებში? ძველამ ვიცით, რომ ჩვენი სასწავლებლების პირველ კლასში პატარა ყმაწვილები ასობით და ორასობით შედიან, მაგრამ მათგან სასწავლებლებში კურს ათავენს მარტო ათი და თხუთმეტი კაცი. პი კითხვები, რომლებს გამოკვლევა და განმარტება ძლიერ საჭიროა საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში ბეჭვდითი სიტყვას ბევრი რამ შეუძლია. ბეჭვდითი სიტყვა არის მიუდგომელი მსაჯული, ნამდვილი მასწავლებელი და მრჩეველი საზოგადოებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრითი ბეჭვდითი სიტყვა სრულებით არ ადევნებს

თვალ-ყურს ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზების გამოკვლევას. მრთი დიდი რუსული გაზეთი დიდის ჰან-წყევტით უმტკიცებს მთელს რუსეთის საზოგადოებას, რომ მართველთა ერის ისტორიული არსებობა იწყობა მხოლოდ მეთორმეტე საუკუნიდგან და მართველები წარმომდგარან ორი სხვა-და-სხვა თემის ხალხთა ერთმანეთთან შეერთებითა, მართული გაზეთებიც დიდად არ იტყენ თავს ამ კითხვების განმარტებისათვის. მს გაზეთები მთლად ბიამარკის, ჩერჩილის, ძრისპის და სხვა ამისთანა პარების პატრიკურ მიმართულებათა გამოკვლევას შესდგომან, ვითომც შემო აღნიშნულ პირთა მიმართულების შეტყობა და გაგება ჩვენს საზოგადოებას დიდს საარგებლობას მოუტანდეს!..

ჩვენ, შეძლებისა და გვაზად, ვეცდებით, რომ ჩვენი გამოცემის ნომრებში განვმარტოთ შემოთ აღნიშნული კითხვები. ამ კითხვების განმარტების დროს ჩვენ შევეხებით მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და აღმზრდელებს.

დეგ. დ. დამბაშიძე.

ძველი და ახალი ზნე-ჩვეულებანი ჩვენი ხალხისა.

ვერცერთი საუკუნე ვერ დაიქადნებს, რომ მასში მცხოვრები ერი იქამდის მალლა მდგარიყოს ზნეობრივ და სათნოების მხრით, რომ მანებელ და ადამიანობის შემბლაღველ ზნესა და თვისებას ფესვი არა ჰქონოდეს მოკიდებული, და ფართო სარბიელი შემოფარგლული. მართალია, არც ერთი საუკუნის შეილთა ისტორია არ გვიდგენს იმის მტკიცე საბუთს, რომ რომელიმე დროის, რომელიმე საუკუნის ერს ისე მალლა ჰქონოდეს დაყენებული თავისი ზნეობა, და ადამიანური თვისებანი, რომ ზნეობის ჩრჩილს, ბოროტებას ადგილი არა ჰქონოდეს მასში დატკერილი. შოველი საუკუნის მკვიდრთა შორის ებოულობთ საზოგადოების ისეთს ნაწილს, ანუ კრებულს ადამიანებისას, რომელნიც მდგარან ზნეობრივის მხრით უმდაბლეს ალაგზედ, და ყოფილან მიმდენი ბოროტებისა და მხეცური ინსტაკტისა, მაგრამ ვერც ერთ გავლილ საუკუნოების მკვიდრთა ცხოვრებაში ვერ შეგვდებით ისე ბლომად ზნეობის უკიდურეს დაცემას, და ქრის-



ტიანი კაცის შემადრწუნებელ მოქმედებაებს, როგორცაც ვხედავთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. ამ გარემოებას რომ კარგათ დაუყვირდეთ და მიუდგომელი მსჯელობით განვიხილოთ, ცხადია დაინახავთ, რომ ამ მხრით არა თუ წინ წაესულვართ და დავსდგომივართ ზნეობრივ წარმატებისა და გაფაქიზების გზას, არამედ ბევრად უკან დაგვიხევია და ჩამოვრჩომილვართ შორის მანძილით ჩვენთა წინაპართა. ჩვენს ცხოვრებაში ბევრმა ისეთმა ბოროტებამ იჩინა თავი და გაისხა ფესვი, რომლის მშგავისის სახელის ხსენებასაც ვერ შეხვდებოდა კაცი ჩვენთა წინაპართა ცხოვრების მიმდინარეობაში. ეს მით უფრო სამწუხაროა და საგოდებელი, რომ რამდენი ხანიც მიდის, იმდენად აღამიანობა წინ უნდა მიდიოდეს, მისი ზნეობა უწმიდადესის სფერისაკენ უნდა მიილტოდეს, მისი ხაიათი და თვისება უნდა იწმინდებოდეს ყოველ გვარი ზნეობის ჩირქისაგან, მისი ბუნება უნდა თან-და-თან კეთილშობილდებოდეს და სხვ. და სხვ. მაგრამ ჩვენი ცხოვრების სურათებს რომ დაუყვირდებით, სულ ამის წინააღმდეგებს ვხედავთ ხოლმე. ამ ჩვენს შენიშვნას რომ ეჭვის თვლით არავინ შეხედოს, ამისათვის აქვე მოვიყვანთ რამოდენიმე ისეთს საყურადღებო ფაქტებს, რომელთა განხილვის შემდეგ არავითარიმე ეჭვს აღარ ექნება ადგილი: მას შემდეგ, რაც მართველი ერი გამოვიდა ძველი ცრუმორწმუნეობიდან, გადაუდგათ თავის ცრუ ღმერთებს და კერპების მაგიერ აღმართათაყვან-საცემელად ჯვარი მაცხოვრისა, და მოჰვიანათავის გონებას ახალი ნათელი ქრისტიანობისა, მას შემდეგ ამ ერის უმთავრესი საზრუნავი იყო თავის ეკლესიის პატივი და თავყვანის-ცემა, მისი უმაღლეს ხარისხზე დაფუძნება, მისი სახელისა და დიდების დაცვა. ისტორია არა ერთს ადგილს გვიჩვენებს იმის უტყუარს საბუთს, რომ უმთავრესი მიზნები ქართველი ერის დაუბოლოებელის ომებისა და სისხლის ღვრისა იყო ხელ-უხლებლად დაცვა თავის სარწმუნოებისა, თავის ეკლესიისა. ამ უწმიდადესის მიზნის მისაღწევად და გასახორციელებლად არც ერთი შეილი ჩვენის ქვეყნისა არა შურავდა არა თუ ნივთიერს რამეს, თვით თავის სიცოცხლესაც. ჩვენამდის მოხწეული ძვირფასი საქურქლე, კუთვნილი ჩვენის ეკლესიებისა, გვიმტკიცებენ იმას, რომ ჩვენი წინაპარნი რაც რამ საუკეთესო და ძვირფასი განძი მოგვოვებოდათ, სწორადღენ თავიანთ ეკლესიებს და ახმარდენ მათს გამდიდრებასა და გამწვენებას. მით უკიდურესი ღარიბი არა რჩებოდა ისე, რომ თავისი წელილო არა შენაქონიყოს

ეკლესიაში. მსახურნი ეკლესიისანი, სასულიერო პირნი იყენენ დიდათ პატივ და თავყვან-ცემულნი, მათ ეჭირათ უმაღლესნი და უპატივცემულესი ალაგი ერის ცხოვრებაში, დიდიდამ პატარამდის კრძალვითა და მოწიწებით შეყურებდენ თვით უმდაბლესს მსახურს ეკლესიისას. მხლა ვადმოვიდეთ ჩვენს თანამედროვე ხალხთა ცხოვრებაში და განვიხილოთ მიუდგომელის თვლით იგი საკითხავი, თუ რამდგომარეობაში ვართ ამ მხრით, ვართ ნამდვილი წარმომადგენელი ამ მხრით ჩვენი წინაპრებისა, თუ არა. სამწუხაროდ ბევრი დაფიქრება არ არის საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ ზემოხსენებულის მხრით უმეტესი ნაწილი ჩვენგანი სრულიად არ ვემზავსებით იმ ჩვენს სახელოვანს წინაპართ, რომელთა მაღალს ზნეობას და მტკიცე მართლმორწმუნეობას დაუცავს ჩვენის ეკლესიის და მისი კრებულის არსებობა, სახელი და პატივი. ჩვენში არა ერთი და ორი პირნი აღმოჩნდენ, არამედ მრავალნი ისეთნი ურწმუნონი, და ველური თვისებისანი, რომელნიც არაათუ კრძალვითა და მოწიწებით ეტყვიან ეკლესიებს და სცდილობდენ მათს შეძენას და გამწვენებას, არამედ მათი მტარვალი მარჯვენა შეუპოვრად ეხება წმიდა ტაძრებს, ცარცვავს, ართმევს მასაც, რაც შეუწირავს ჩვენთა წინაპართა. არა ერთი და ორი მაგალითია ჩვენს ცხოვრებაში იმის დამამტკიცებელი, რომ ესეთმა ბოროტმა პირებმა ვაცარცევს ჩვენი უმთავრესი დედა მონასტრები და ეკლესიები, ვაალატაკვს ნივთიერის მხრით. ხოლო ეკლესიის მსახურთ, უწმიდადესის მსხვერპლის შემწირველთ არა თუ კრძალვითა და მოწიწებით ვყრობიან, სასიკვდილოთაც აღარ ზოგავენ და როგორც ოთხ-ფეხს საქონელს, ისე ჰკვლენ და ჰუწავენ. სსხვას რომ თავი დავანებოთ უახლოესი მაგალითიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, თუ რა ჯურისა და ზნეობის მექონი პირები გამრავლდენ ჩვენში. 31 ივლისს, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, დაესხენ თავს ავაზაკები ბლ. მ. ი. ბ. და შემადრწუნებელის მკვლელობით გამოასალმეს იგი ამ წუთი სოფელს და მამასა-დამე წაართვეს ჩვენს ეკლესიას ერთი უფრთვულესი მსახურთაგანი. როდესაც აწმინაი უბედური მოვლენის მოწამე ხდები აღამიანი, თვალწინ გიდგება ხოლმე გაჭირებული დრო ჩვენის ეკლესიისა და მისი კრებულისა, დრო აღამაჰმადხანის და მტრვან ყრუს ბარბაროსობისა და ეძლევი სულის კვეთებას შესახებ მისა, რომ იმათი მტარვალების მაგიერობას აღსრულდენ გარეგნობით მინც ქრისტიანები, მირონ-ცხებულნი,

და შეიღნი მართლ-მადიდებელის ეკკლესიისანი! მაგრამ ამაზედ შორს ნულა წავალთ და ორიოდ სიტყვა თვით წამებულ მამა ილარიონ ბერსამიაზედ ვსთქვათ. მ. ბერსამია, როგორც ზემოთაც ვსთქვით, იყო მსახური ეკკლესიისა; მღვდლად ხელ-დასხმის დღიდან მტკიცედ აღსრულებდა არა მსუბუქს მოვალეობას ჭეშმარიტის მწყემსისას. მაგრამ უფრო თვალსაჩინო ღვაწლი მისი მწყემსური მოღვაწეობისა სჩანს თავისუფალ სვანეთის ერთს სამრევლოში, სადაც ის იყო განწესებული. მოგვხსენებათ, რომ ეს ხალხი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების წესებში და ბევრი შრომა და ღვაწლი სჭირდებოდა უწინ ჭეშმარიტს მოძღვარს, რათა ეს ხალხი გამოეყვანა ამაოდ-მორწმუნეობისაგან და დაეყენებია იგი ჭეშმარიტ სარწმუნოების გზაზედ.

მამა ბერსამიამ კი თავის გონივრულის მოძღვრებით და ნამდვილი ქრისტიანული ყოფა-ცხოვრებით ძალიან მალე დააჩინა კვალი თავის მრევლის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მდგომარეობას, მან აღმოკვეთა თავის მრევლში ყველა ის ცრუ-მორწმუნეობა და მანვე ჩვეულებანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჭეშმარიტს სარწმუნოებას, გააძრო და შეათვისებინა ხალხს ქრისტიანული ცხოვრების დედა-აზრები. თავისუფალი სვანეთიდან მღვ. ბერსამია გადმოყვანილ იქნა სოფ. ლაილაშის მრევლის მღვდლად და დაინიშნა ოლქის სამღვდლოების ბლაღოჩინად, და მასთან ჩვენი თავად-აზნაურობის ერთ-კლასიანი სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად. სამივე ამ თანამდებობას განსვენებული მეტად სინდისიერად და გულს-მოდგინებით აღსრულებდა. მისმა მხნეობამ და ენერგიულმა მეცადინეობამ სასარგებლო ნაყოფი გამოიღო თავის მრევლში; მან აღმოკვეთა ყოველ გვარი ცრუ და მანებელი ჩვეულებანი, და ხალხი დააყენა რელიგიურის მხრით იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც უნდა იდგეს ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ის არის ნაყოფი მ. ბერსამიას დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობისა. ბანსვენებული არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ მარტო მღვდელ-მოქმედება ესრულებია თავის მრევლსათვის, განსვენებული აგრეთვე მეცადინეობდა, რომ თავის მრევლის ახალ-თაობისათვის, თავის შეძლებისა და გვარად, მიეცა ცხოვრებაში უსაჭიროესი სწავლა და გონების განხილობა. ამ მიზნის მისაღწევნელად განსვენებულმა განსწა თავის საკუთარის ხარჯით თავის მრევლის ეკკლესიასთან

სასწავლებელი, სადაც ორთავე სტესის კმაწვილებს ღებულობდა და ასწავლიდა უკუასოდ წერა-კითხვას, ლოცვებს, ანგარიშს და სხვა საჭირო საგნებს. სერთო ცხოვრებაში მამა ბერსამია მეტად კეთილი გულის და სათნო ხასიათის მექონი კაცი იყო და შრომის მოყვარე.

ამასთანა შემად-უწუნებელ მაგალითებს ჩვენ, სამწუხაროდ, თითქმის ყველა საქართველოს კუთხეებში ჰქვამდა. რიგია დავუიქრდეთ ამაზედ და ხელი შეუწყოთ ყველამ ხალხში ზნეობის ამაღლებას. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ჩვენმა ხალხმა, გარეშე უსჯულო მტერთაგან გარემოცულმა და ნიადაგ მასთან მეტროძოლმა, მოატანა ღვთის მხოლოდ ერთი მტკიცე სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობის წყალობით. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ დასუსტება სარწმუნოებისა და ზნეობისა ხალხს უქადის სულ გაქრობას და ქვეყნიდან აღხოცვას...

ქაიხოსრო გელაქანი.

საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მოწიგნებლო მინისტრის დათვალიერება მისი მაღალ-ყოველწლიურ უსაქმდებლო მოსახლის, მთავარ-მკისკოსოს კალაღისაგან*)

სხვა-და-სხვა შესახაშნავი საკვ. ნაშთების აღწერილობით.

აღავერდის ვებერთელა ტაძარს, რომლის გულბანთი 32 საქენის სიმაღლეზე არის აღშენებული, შემოვლელი არის მრგვალი და მიუდგომელი კარსკები. ტაძრის გარეგანი შენობის საუცხოო ხელოვნება ყოველ კაცს აკვირებს. მქვი არ არის, რომ ეს ტაძარი არის ნაშენი და ნაკეთები ბიზანტიელი გამოცდილი მხატვრისაგან. ტაძარი შიგნით დამაგრებულია ექვს მრგვალ სვეტზე. თავ-და-პირველად ტაძარი აღშენებული ყოფილა წმ. დიდი მოწამის ბიორგის სახელზე. ისტორიული ძველი თქმულობა მოგვითხრობს, რომ ამ ტაძრის შენება პირველად დაუწყია წმ. იოსებს ათცამეტა სირიელ მამათაგანს VI საუკუნეში; ამ წმიდანის ნაწილები ამავე ტაძარში განისვენებენ. IX საუკუნეში ძახეთის მფლობელს კვირიკეს

*) იხ. «მწყემსი»-ს № 16.



აღუშენებია ეს ტაძარი იმსახით, რა სახითაც დღეს ვხედავთ მას. ლეონ მეფის დროს ამ ტაძარში მოუტანიათ ნაწილი უფლის ცხოველ-მყოფელის ჯვარისა და ამის შემდეგ ძახეთის მკვიდრნი ყოველ წლობით, 14 ფენქნისთვეს იკრიბებიან ამ ტაძარში წმიდა ნიეთის თაყვანის საცემლად; ამ მიზეზისა გამო საქართველოს ექსარხოს იონას უმთავრესი სამსხვერპლო უძღვნია ჯვართ-ამაღლების დღესასწაულისათვის, ხოლო წმ. ბიორგის სახელზე მიუშენებიათ სამწირელო.

ალავერდის ტაძრის წმ. ხატებში ყველაზე შესანიშნავნი არიან 4 ხატი: ორი ხატი წმ. ბიორგი ძლიერა-მოსილისა და ორიც ლეთის-მშობლისა, ამებს ვარდა არქეოლოგებისათვის აქ არის დაცული მეტად შესანიშნავი ნაშთი—ეტრატზე ნაწერი სახარება 1059 წლისა, რომელიც წინათ საკუთრება ყოფილა «ივანე პროტეროსისა» ბაგრატ IV ძისა, რომელიც IX საუკუნეში სცხოვრებდა.

ძალად ყოველად უსამღვდელოესი ექსარხოსი შებრძანდა ტაძარში და შემდეგ ჩვეულებრივი შევეიწყალენისა, კაი ხანს ათვალიერა როგორც ტაძარი, ისე მასში დაცული შესანიშნავი ნაშთნი, მათმა მეუფებამ თაყვანი სცა წმ. ღირსის იოსების ნაწილებს და აქ განსვენებულთ სამეფო და ისტორიულ პირთა გვამებს. ამ ტაძარში განისვენებენ შემდეგი გვირგვინოსანი პირნი: დედოფალი ქეთევანი, რომელიც ეწაბა 1624 წელში პერსიაში, შახ-აბაზის დროს, მეფე ალექსანდრე თავის ძით ღვითით და დედოფალი მარკინე, რომელიც მოლოზნობაში გადაიცივალა 1732 წელში. სობოროს ეზოში დღესაც მოსჩანან ნანგრევები მეფის სასახლისა, ბერ-მონაზონთა სადგომებისა და სხვათა შენობათა, რომელნიც შეუშუსრავს პერსიის ხანებს. ამ ალავერდის ტაძარში სცხოვრებდნენ წინათ ეპისკოპოსები, რომელთაც შესანიშნავ სამეფო დღეობების დროს ეჭირათ მცხუთე ადგილი საქართველოს მღვდელთ-მთავრებში.

ამ ტაძრის დათვალიერების შემდეგ მათი მეუფება გაემგზავრა სოფელს სინონდალში, სადაც დათვალიერა სამრევლო ეკლესია, რომელშიაც მათ მეუფებას მიეგება მღვდელი შიუკოვი კრებულთ. აქედან ექსარხოსი გაემგზავრა შავჭავჭავების სასახლის ეკლესიაში, რომელიც დროთა ვითარებისა გამო დაძველებულა; ეს ეკლესია მდებარეობს სიცაბო ჩამონგრეულ კლდეზე, რომელსაც ძირს უთხრის მდინარე ალახანის ზეირთები და ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ეკლესია შემდეგში უთუოდ დაინგრევა.

18 იენის, დილით მათი მეუფება სინონდალად განწაბრდნდა სილნალის მაზრაში. მხაზე ექსარხოსმა დათვალიერა სოფლის შემდეგი ეკლესიები: ძალაურისა, მუკუზანისა, მელისციხისა, მურდჯანისა და ანაგისა; ყველგან ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა მათ მეუფებას და იღებდა ლოცვა-კურთხევას. ხალხში მშვენიერი შთაბეჭდილებას ახდენდა პატარა ხატების და ჯვრების დარიგება. მელისციხის და გურდჯანის ეკლესიებში ადგილობრივი მღვდლებმა მათ მეუფებას მოახსენეს სიტყვები. პირველი ეკლესიის მღვ. ი. ხარიტონოვი შეეგება ექსარხოსს სოფლის სკოლის მოწაფეებით; ბავშვებმა მ. ხარიტონოვის და მასწავლებლების მრისთავისა და ღვთაბაჟის ხელმძღვანელობით მშვენიერად იგალობეს ყველა საგალობელი, რომელნიც საქრონი იყენენ მათი მეუფების შეხვედრის დროს; ემაწილების ვალობა მათ მეუფებას ძალიან სასიამოვნოდ დარჩა, შემდეგ ლოცვა-კურთხევა გადასცა მოწაფეებს და ხალხს და გაემგზავრა სილნალის მაზრისაკენ.

სილნალის მაზრის სამხლელარზე მათ მეუფებას შეეგებნენ მაზრის უმფროსი მესხიევი და მომრიგებელი-შუამდგომელი თავადი ანდრონიკოვი.

სილნალში *) მათი მეუფება მიბრძანდა დღის სამ საათზე. ძალაქის მკვიდრნი დიდის სიხარულით მიელოდნენ ახალს ექსარხოსს. მათი მეუფება შებრძანდა ქალაქში ციხით, რომელიც 1764 წელში აღუშენებია ირაკლის და პირ-და-პირ გასწია საკრებულო ტაძარში, სადაც მათ მეუფებას მგრძნობიარე სიტყვით მიეგება ბლალოჩინი დეკანოზი ს. ბეგიევი. პარაკლისის გათაფების შემდეგ მათმა მეუფებამ აღმინისტრაციის და ქალაქის წარმომადგენლებით გაემგზავრა საქალაქო სასწავლებელში, სადაც მომზადებული იყო მათი მეუფებისათვის ბინა. აქ მათი მეუფების წინაშე წარსდგენ ქალაქის საპატოი მკვიდრნი. სადილზე თავდა-აზნაურობის წინამძღვარმა თავიანთი მარწმუნებლების და იქ დამწერე პირთა მაგიერ გრძნობით საყვარე სიტყვა მოახსენა მათ მეუფებას; ამ სიტყვაში ბ. მე-

*) სიტყვა სილნალი წამომდგარა ორი ენისაგან: თათრულისა და ოსმალურისაგან; პირველ ენაზე ეს სიტყვა ნიშნავს თავ-შესაფარს, ხოლო მეორეზე—ხეობას. ამ სიტყვების მნიშვნელობა ძალიან შეშვენიის სილნალის მდებარეობას. მართლაც იგი არის თავშესაფარიც და ხეობაც, რომელაც მიუდგომელია მტერთათვის.

სიივემა გამოხატა ის სიხარული, რომელიც აღძრა ადგილობრივ მკვიდრთა შორის მათი მეუფების სიღნაღში მიბრძანებამ. ექსარხოსის სადღეგრძელო დიდის ამბით იქმნა მიღებული და თან მოჰყვა «მრავალყამიერი».

ნაშუადღევს ხუთ საათზე მაღალ ყოველად უსამღვდელოესი ექსარხოსი ადგილობრივ უფროსებთან ერთად წაბრძანდა საქართველოს შესანიშნავი ბოდბისის სობოროს სანახავად და წმ. მოციქულთა სწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინას საფლავის თავყანის-საცემლად. მრავალმა ქართველებმა და სომხებმა გააცილეს მათი მეუფება სოფელ ბოდბისხევისაკენ.

სიღნაღიდან ბოდბისის სობორომდის სამი ვერსი იქნება; ამ ტაძარს, როგორც წმიდამოციქულთ-სწორის სასაფლაო ადგილს, მთელი საქართველოს მკვიდრი დიდ პატივსა სცემენ. მეფე ვახუშტის ისტორიისაგან ხიანს, რომ ბოდბისის სობორო აღუშენებიათ წმიდა დიდი მოწამის ბიორგის სახელზე; ეს წმიდა ბიორგი ბიძა-შვილი ყოფილა წმ. ნინასი; ბოდბისის ტაძარი ძვირფასი სასაფლაოთი მოურთავს საქართველოს პირველი ქრისტიანე მეფის მირიანეს შვილს ბაქარს 342-364 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ. ძველ დროში ამ ტაძარს გარედან შემოგლებული ჰქონებია სხვა და სხვა ფერის ინგლიზის ანგური, რომელიც ტაძარს მეტად ამშვენებდა თურმე; დღეს ასეთ მორთულობას ნახავთ მხოლოდ ტაძრის დასავლეთის მხარეზე. ტაძრის შინაგანი მორთულობაც მეტად მშვენებულია; ეკლესიის მხატვრობა, არაფრით შესანიშნავი არ არის და არცა ხიანს, რომ იგი მხატვრობა გაკეთებული იყოს მკოდნე მხატვრისაგან. ძანკელი კი თავისი ხელოვნებით, მართლა შესანიშნავია; უწინ ეს კანკელი ყოფილა მოაქრევილი, მაგრამ დღეს, დროთა ვითარებისა გამო, მთლად გაშავებულია წმ. ნინას სასაფლაო არის ტაძრის მარჯვენა სამწირველოში; დიდი ხანი არ არის, რაც ეს სასაფლაო მოურთავთ მარმარილოს ქვით. სასაფლაოს შემოთ ჰკიდია გაუქრობელი კანდელი. ძველს ბოდბისის სობორო ყოფილა ქალების მონასტერი, ხოლო შემდეგ, როცა ეს მონასტერი გაუქმებიათ, აქ უცხოვრიათ ადგილობრივ მიტრაპოლიტებს, რომელთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავი ყოფილა იოანე, რომელიც გადაცელილა 1837 წელში; ეს იოანე მღვდელ მთავარი ითვლება ამ ტაძრის განმანათლებლად და მშენებელად უვლა იმ შენობათა, რომელნიც ამ ტაძრის

ენოში მოიპოვებიათ დღეს, რადგან ამ მღვდელთ-მთავარს თავისი საკუთარის ხარჯით ძირეულად შეუკეთებია ბოდბისის ტაძარი, და გალავანს გარეთაღუშენებია სასახლე პატარა ეკლესიით მღვდელ-მთავრისათვის. ბოდბისის ტაძარში იწვრდენ ჯვარს და იკურთხეოდენ მეფედ კახეთის მეფეები. ამ მიზეზისა გამო ბოდბისის მიტრაპოლიტს ებარა სამხედრო დროში, რომელიც მიქონდათ ხოლმე ჯარების: წინ ომების დროს.

სობოროს ძვირფას ნაშთთა შორის, რომელნიც დატულან აქ შესანიშნავი არიან: 1) კილობანი, რომელშიაც არის ნეკი პირველ მოწამის არქიდაკონის სტეფანესი, მოტანილი წმ. სტეფანე ხირსელისაგან. ამ ხირსელს უცხოვრია სიღნაღის ერთ მახლობელ მთაზე, სადაც ხირსკის გარდაცვალების შემდეგ, მშვენიერი და ძვირფასი ქვებით მორთული ჯვარი, რომელიც უწინდელს დროში დაჰქონებიათ ომებში და როცა მიტრაპოლიტი დაბრძანდებოდა თავის სამწყსოის დასახედავად.

მისს მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას სობოროს კარებთან მიეგება მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი ძმებით თურთ. მათმა მეუფებამ ტაძარში შესვლისათანავე მუხლი მოიყარა მოციქულთ-სწორის, საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინას სასაფლაოს წინაშე, ემთხვია წმ. ნინას ხატს და შემდეგ გადინდა პარაკლისი ამ წმ. მოღვაწის სახელზე. პარაკლისის შესრულების შემდეგ მათმა მეუფებამ დიდის ყურადღებით დაათვალიერა ტაძარი და სალარო. სობოროდგან გამობრძანების შემდეგ მათმა მეუფებამ სთხოვა სობოროს წინამძღვარს ტაძრის კედლების შეკეთება, სადაც კირი იყო ჩამოყრდილი, კრამიტის სახურავის შეკეთება, გუმბათის ჯვრების რიკიანად დაწყობა, ტაძრის გალავანში მიწის მოსწორება, შეკეთება ეკლესიის გალავანისა, სადაც გაფუჭებულია მრთი სიტყვით, მათმა მეუფებამ ისურვა ტაძრის უწინდებურად გამშვენება.

ამ ტაძრის შესაკეთებლად მისმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა თავისი საკუთარი საშუალებიდგან 220 მანეთი შესწირა.

სობოროდამ მათი მეუფება წაბრძანდა წინამძღვრის სადგომში; გზაზე მათმა მეუფებამ ბრძანა, რომ წინამძღვრის სახლისაკენ მიმავალი გზა გაეწმიდათ ბალახებისაგან და ქვით მოეფინათ. როცა თვით წინამძღვრის და ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი სახლი დაათვალიერა, მათმა მეუფებამ ბრძანა, რომ სახლის ახალი იატაკი გაუკეთეთ ზალაშიო, რომელიც მორ-

თულია მშენებელი მხატვრობით; ამ სახლს აღშენებელს მიტრაპოლიტის იოანეს დროს აქ ყოფილა სასადილო ოთახი და მისაღები ზალა... სასახლას პატარა ეკლესია მეტად დამკვიდრებულია, მაგრამ ღვთისმსახურება მასში დღესაც სრულდება.

მათმა მეუღლებმა ხელ-მეორედ დაათვალიერა სობორი, შესანიშნავი ნაშთი, სცა თაყვანი წმ. ნინას სასაფლაოს და ღმრის გასათევად დაბრუნდა სიონალშივე.

19 ივნის ექსარხოსმა წირვის გათავების შემდეგ საკრებულო ტაძარში შეასრულა სამადლობლო პარაკლისი წმინტის-მშობლისა და წმიდა ნინას სახელობე; წმინტის-მსახურებას ქართველები და სომხები ბლოჯად დაესწრენ ეკლესიაში. პარაკლისის შესრულების შემდეგ მათი მეუღლე დაბრუნდა უკანვე.

ზნაზე მათმა მეუღლებმა დაათვალიერა ნუკრიანის ეკლესია, რომელიც მდებარეობს მშენიერს ადგილას და მერე ცოტას ხნით შებრძანდა პატარა ეკლესიის თავ. ანდრონიკოვს სასახლად და აქედან გზა-ტყევალით გაემგზავრა სოფელს მალხაზოვსკში, სადაც კი ხანს ებასა მალაქებს, რომლებიც მათი მეუღლებს შესახვედრად მოსულიყვნენ კარგა შორეული სოფლის მორონცოვკიდან.

სოფელ მალხაზოვკიდან მათი მეუღლე მიბრძანდა სოფელს სართიქალის ეკლესიაში, სადაც მათ მეუღლებს ჯერით და აიხმის წყლით მიეცემა ადგილობრითი მღვდელი ელიზბაროვი, მკვლესია და მისი გალავანი მთლად საესე იყო ხალხით, რომელსაც მათმა მეუღლებმა გადასცა ღვთის-კურთხევა, დაუჩივა პატარა ხატები, ჯვრები და მასთან პატარა წიგნაკები ქართულს და რუსულს ენაზე, რადგან აქ რუსებიც იყვნენ. შემდეგ ექსარხოსმა მადლობა უთხრა ახალ-გაზდა მღვდელს ელიზბაროვის, რომელიც თავდადებულად ზრუნავს თავის ეკლესიისა და სამწყობსათვის. აქედან მათი მეუღლე დაბრუნდა თბილისში.

«მწუხმისი»-ს კორრესპონდენცია საჩხერისად.

ბრა ერთ გზის ყოფილა ჩვენს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გამოთქმული ის აზრი, რომ როგორც დაბა საჩხერის მკვიდრთა, ისე ამ დაბის ახლომანლო მდებარე სოფლებს ძალიან უძინებდათ შეიღების გამოზდა სასწავლებლების სიანლოვეს უქონელობისა გამო. ამიტომ დიდს შემწეობას აღმოუჩინდა საჩხერლებს ერთ კლასიანი სასწავლებლის დაარსებაც კი დაბა საჩხერეში. თუ ყველა არა ზოგიერთებში მაინც შეიძლებდენ, რომ თავის ნორჩი ყმაწვილები ჯერ ამ სასწავლებელში მოემზადებიათ, მერე ქუთაისში წაეყვანათ და რომელიმე სასწავლებელში შეეყვანათ. ერთ ან ორ კლასიანი სასწავლებლის გახსნაზე და საჩხერეში არა ერთ გზის ყოფილა მიტქმა-მოტქმა, მაგრამ აქაურმა თავადებმა და აზნაურებმა ამ კეთილ საქმეში ძალიან გულ-გრილობა გამოიჩინეს. ან კა საღ სცალიათ მათ ამისთანა საქმეებისათვის! ამ კეთილ-მოზილთ გულ-გრილობა მით უმეტეს გასაკვირია, რომ უმადლესმა მთავრობამ ფულით შემწეობა აღუთქვა საჩხერის მომავალს სკოლას, თუ თვითონ საზოგადოება ითავებდა სასწავლებლისათვის ადგილის მოპოვებას და სასწავლებლისათვის შესაფერი შენობის აღშენებას. საჩხერლებს დიდი ხანია შეტყობილი აქვს მთავრობის ასეთი აღთქმა, მაგრამ ისინი დღემდამაც არას ფიქრობენ სკოლის გახსნაზე.

მხოლოდ საჩხერის საბლალოჩინო ოლქის სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთ შეიგნეს მათ შორის მოსამხადებელი სასწავლებლის დაარსების საქმეობა. ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანისათვის ბევრი იშრომა და დღესაც შრომაზს ადგილობრითი ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი მ. აბესალომ ტყეპალაძე, რომელიც დიდი ხნის გან უხსნის და აგონებს აქაურ სასულიერო წოდების პირთა საშუალო ადგილს საეკლესიო სკოლის დაარსებას, რომელშიაც მათი ნორჩი შეიღები მშობლების მხედველობას ქვეშ მოემზადებოდენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შესასტეველად და ამით მშობლები ასცდებოდენ თავიანთი შეიღირვა წლის ბავშვების ქუთაისში წაყვანას, სადაც ნორჩი ყმაწვილები ხშირად წყევითად მახინჯდებიათ. მ. ტყეპალაძის სიტყვებმა იმოქმედეს. თითქმის ყველა მღვდელმა განაცხადა თანხმობა. მხოლოდ საჭირო იყო ამ საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოების ერთად შეკრება.

მ. ტყემალაძემ მოუწოდა ყველა მღვდლებს და მღვდელთმცოდნეებს ერთ დანიშნულ ადგილს. შევლანი შეიკრიბნენ და დაიწყეს მჯგელობა, თუ როგორი სკოლა დაეარსებიათ და ან რამდენი ფული იქნებოდა ერთ დროებითად საჭირო სასწავლებლის შენობის აღსაშენებლად და სკოლისათვის საჭირო ნივთების მოსაპოვებლად. შემდეგ ხანგრძლივი მჯგელობისა სამღვდლოების კრებამ ერთხმად დაადგინა: «მათი ყოველად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ოცდა-რვა წლის მისდამი რწმუნებულის ეპარქიის მრავალ-მნიშვნელობიანი და სასარგებლო სამსახურის სახსოვრად და აგრეთვე ჩვენი ბლალოჩინის დეკანოზის იოანე აბაშიძის ოცდა-შვიდი წლის უბიწო სამსახურის სახსოვრად ბლალოჩინობის თანამდებობაზე გაიხსნას საეკლესიო სკოლა ჩვენი საბლალოჩინოს ოლქის შუაგულ ადგილს. ამ სკოლაში შესვლის ნება ჰქონდეთ, როგორც სასულიერო წოდების შეიღებებს, ისე საერო წოდებისას. სასწავლებლისათვის საჭირო სახლის აღსაშენებლად და სკოლის საჭირო ნივთების მოსაპოვებლად თითოეულმა მღვდელმა შესწიროს ერთ დროებითად 29 მანეთი და 27 კაპ., ხოლო თითოეულმა მღვდელთმცოდნემ— 8 მან. 27 კაპ. სასწავლებლისათვის ადგილის მოპოვება და სკოლის აღშენება ყოველად სამღვდლო ბაბრიელის წებართვით მიგვიწვდია დეკანოზის მ. იოანე აბაშიძისა, ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებლის მღვდლის აბესალომ ტყემალაძისა და მღვდლის პლექსი ჯაფარიძისათვის». ეს სამღვდლოების დადგენილობა მალე წარედგინება მათ მეუფებას, იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელს დასამტკიცებლად.

იმედია, რომ აღნიშნული სამღვდლოება ამ თავის მშვენიერ დადგენილობას მალე მოიყვანს სისრულეში და ამით მაგალითს უჩვენებს ჩვენ თავდახნაურობას, რომელსაც მთავრობის დახმარებითაც კი ვერ მოუხერხებია ორ-კლასიანი სკოლის დაარსება დაბა საჩხერეში.

უკუკუ.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა სამეგრელოში.

უშიდესის სინოდის უქაზის შემდეგ, რომელმაც ვალად დაუდგინა სამღვდელოებას საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნა და მათში სწავლების საქმის წარმოება, სამეგრელოში ბევრი საეკლესიო სკოლა გაიხსნა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ სკოლების ცუდს მდგომარეობაში იყო და ამიტომ ბევრი მათგანი კიდევ დაიხურა. ამის მიზეზი იყო ერთის მხრივ ის, რომ სამრევლოებს არა ჰყავდათ კაცი, რომელსაც შეეგონებია ხალხისათვის ამ სკოლების სარგებლობა, რომ ხალხსაც თავის დახმარება აღმოეჩინა სკოლებისათვის; მეორედ—ბევრგან მასწავლებლად ისეთი პირნი დანიშნენ, რომელთაც სწავლების საქმე სრულეებით არ ესმოდათ. სასულიერო მთავრობაც, სიშორისა გამო, უგეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა ამ სკოლებს. სამეგრელოს სამრევლო სკოლების სამასწავლებლო რჩევა იმყოფებოდა ქ. შუთაისში. ამ რჩევის განკარგულებას პირველად იმერეთი იცებდა, სამეგრელო კი გვიან და ხშირად რჩევის ზოგიერთი სასარგებლო და საყურადღებო განკარგულება სულ შეუტყობელი რჩებოდა სამეგრელოსათვის. ღღეს საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა მთლად შეიცვალა. ყოველად სამღვდლო ბურია-სამეგრელოს მისიკოპოსმა ბრიგორემ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ამ სკოლებს. მათმა მეუფებამ დანიშნა საეკლესიო სკოლების სამასწავლებლო რჩევა. ამ წელში, თებერვლისთვის დამღვეს რჩევამ მიიღო უმაღლესი მართებლობისაგან სასწავლო ნივთები ღარიბი სკოლებისათვის. რჩევამ ყოველად სამღვდლო ბრიგორის ბრძანებით ერთი თავის წევრთაგანი ბ. ძიმისტარაშვილი დანიშნა სამეგრელოს საეკლესიო სკოლების დასახედავად. ბ. ძიმისტარიშვილმა ამ მოკლე დროში დათვალიერა სენაკის მაზრის ყველა საეკლესიო სკოლები და შეიტყო, თუ რომელ სკოლაში რამდენი მოსწავლე იყო, ვინ სად ასწავლიდა და როგორ. ბ. ძიმისტარიშვილმა აღნიშნა ყველის ნაკულუღევანბანი, რაიცა ხელს უშლის მასწავლებელთ სწავლების საქმეში. სადაც სკოლების შენობა შეკეთებას ითხოვდა, იქ მრევლს შეაგონა ბ. ძიმისტარიშვილმა, რომ მათ ამ საქმეში შემწეობა აღმოეჩინონ ადგილობრივ მღვდლებს და მასთან აღუთქვა მათ სასწავლო ნივთების გამოგზავნა.



წასრული იენისის თვეში ბ. ძიმასტარიშვილმა დაათვალიერა ზუკდიდის მაზრის სამრევლო სკოლები. მკს იენისის ისევე სენაკის მაზრაში დაბრუნდა და არც-და-ერთს ამ თვეს მიწიის სოფლის სამრევლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდაზე დაესწრო. იგი ძალიან კმაყოფილი დარჩა ყმაწვილების ცოდნით, მასთან მესამე განყოფილების მოსწავლეთა, რომლებმაც წელს შეასრულეს სწავლა ამ სამრევლო სკოლაში, ბ. ძიმასტარიშვილმა აღუთქვა უშამდგომლობა ეპარქიალური რჩევის წინაშე, რომ მათ დაურიდგდეს მოწიშობები, რომელნიც სამხედრო სამსახურში ზოგიერთს უფლებათა ანიჭებს.

დღეს ყველამ გაიგო, რომ სამრევლო სკოლები სათამაშოანი არ არიან და ამიტომ იმ ბატონებმა, რომელნიც დღემდის მხოლოდ მასწავლებლის სახელს ატარებდნენ და საქმით კი მცწის მუშანი იყვნენ, გააგდეს ხელიდგან თოხი, გასწმადეს სკოლები, მოუყარეს სამრევლოთა შეილებს თავი და დაიწყეს სწავლა.

მართის სიტყვით, აუცილებლად საჭიროა და მასთან სასარგებლოც, რომ ყოველ წელიწადს სასულიერო მთავრობის განკარგულებით ვინმე სწავლების საქმის მცოდნე პირი დაათვალიერებდეს ხოლომე საეკლესიო სკოლებს და ხელმძღვანელობას გაუწევდეს ამ სკოლების მასწავლებლებს. ამასთან საჭიროა, რომ რჩევამ მუყიათ მასწავლებლებს აღმოუჩინოს რაიმე ნივთიერი დახმარება, რომ ამით უფრო წახალისდნენ იგინი საქმეზე.

ბ. კეკელიძე.

წმინდი რამდამტორთან!


მ. რედაქტორო, უმოჩინოვსაღ გთხოვთ, ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივემულს გაზეთს «მწყემსი».

შორაპნის მაზრაში ლიჩის საზოგადოებას სოფელ ძარათში აშენებენ ქეთიკირის ახალ ეკლესიას ყოველად სამღვდლო იპერეთის ეპისკოპოსის ბაბრიცის ნებართვით. იმ ადგილზედ, სადაც ახალი ეკლესია შენდება, არის ძველის-ძველად აღშენებულის ეკლესიის ნანგრევები. ჩემის აზრით, ძველი ეკლესია თამარ-დედოფლის მეფობის წინად უნდა იყოს აღშენებული.

ნებული. სოფლის ყველა ეკლესიები, რომელნიც თამარ-დედოფლის დროს არიან აღშენებულნი, დახატულნი არიან შიგნით და საზოგადოთ სიერცითაც პატარეები არიან; ზემოხსენებული დანგრეული ეკლესია კი დიდია სიერცით და მასთან ეკლესიის ნანგრევის არც ერთ ქვას მხატვრობა არ ეტყობა; არც გეგმით წაგავს ეს ძველი ნანგრევი ეკლესია თამარ-დედოფლის დროს აღშენებულ ეკლესიებს. როდესაც ახალი ეკლესიის ბალაგერი გასჭრეს ერთ არშინზე, მიწაში აღმოჩნდა ქვის დიდი კუბო, რომელიც გაკეთებულია ერთი დიდი ქვისაგან. ეს კუბო გაყოფილია ორ დიდ და პატარა უჯრებად. ერთ უჯრაში აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ძვლები, ხოლო მეორეში რვა მიცვალებულისა, რომლებიც, ტაუაში ჩაწყობილ თევზებივით, იყვნენ ერთი-მეორეზე მიწყობილი. ძვლებიდანა სჩანს, რომ მიცვალებულები ახოვანი ხალხნი უნდა ყოფილიყვნენ. მიცვალებულების ძვლებში აღმოჩნდა ჭიქის რგოლები და ოქროს ლილის ნანტერევი. აგრეთვე ბალაგერის თხრის დროს მუშებმა ნახეს მიწაში ეკლესიის ძველი კლიტე, ლახვარი, ღვთის-მსახურების დროს სახმარი და ერთი დიდი მხეცის კბალი. ძვლების ნანგრევებზე ბევრი ვეძებე რაიმე ზედწარწერა, მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახე. ძვლის უმთავრესი ქვები ეკლესიის დამგვრევის დროს სულ დამტერეულან. მხოლოდ ერთი ქვის ნატეხზედ ხეცური ხელ-ჩართული ასოებით აწერია: მ-ა, მ, ლში, სლ და ასლან.

ყველა ზემოთ მოხსენებულ ნივთებს გადმოგცემთ თქვენ და უმოჩინოვსაღ გთხოვთ გადასცეთ იგინი პატივემულ არქეოლოგს დიმიტრი ბაქრაძეს გასასინჯავად. თუ ეს ნივთნი აღმოჩნდებიან ღირსნი ყურადღებისა, მაშინ იგინი გადაეცეს საეკლესიო მუზეუმს, თბილისის სიონის სობოროსთან დაარსებულს. აგრეთვე პატივემულ ბაქრაძეს ვთხოვთ, რომ «მწყემსი»-ს საშუალებით შეგვატყობინოს ამ ნივთების მნიშვნელობა.

ბლადოხინი მღვდელი იოსებ წერეთელი.



ახალი ამბები და შენიშვნები.

მღვთის-მშობლობას ბენათის მონასტერში მწირ-ველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი მონასტრის სამღვდლოებითურთ. წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუღლებამ წარმოსთქვა გრძობით საფეხ სიტყვა, რომელშიაც გამოხატა ის აზრი, რომ ჩვენი ხალხი თითქმის არაფერს არ წირავს თავიანთი მონასტრების და ეკლესიების სასარგებლოდ და ამიტომ მსმენელთ უჩხია, რომ ამ მხრით მათ მიბაძონ რუსებს, რომელნიც თავიანთი მდიდრული შეწირულებებით აღიარებენ და ამშვენებენ თავიანთ ეკლესიებს და მონასტრებს.

* *

ჩვენ დაეკავეთ საქმე უკეთში ერთს ზარების გამოჩენილს ნეკარხნესთან და ამის შემდეგ შეირილის საეკლესიო ნივთების საწყობის საწულადებო მსურველთ შეწყდით დაბარება ყოველ გვარი ზარებისა. ამ საწყობში დღესაც იმეკონება თორმეტი და ოც ფუთიანი ზარები. საწყობი მიიღებს გატყეილ ზარებს კარგ ფასად.

* *

წელს ზვერი პატარა ყმაწვილები ჩამოიყვანეს მშობლებმა მეთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში მისაცემად, მაგრამ უმეტესობას უარი ეთქვა, რადგან დასაწყისი მოსამზადებელი კლასები იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების გარდაწყვეტილობით უკვე დაიხურა, ხოლო ზედა კლასებში ძალიან ცოტა იყო თავისუფალი ადგილები და ადგილებიც რომ ზვერი უფროსი თაღისუფალი, ბავშვები მოუშადა ბელი იყვნენ და ზედა კლასებში შესვლა არ შეეძლოთ. ამ მიზეზის გამო მრავალი მშობლები იდგნენ სასწავლებლის წინ თვალ-ცრემლიანი და უკმაყოფილებას აცხადებდნენ კრების გადაწყვეტილებაზე დასაწყისი მოსამზადებელი კლასების დახურვის შესახებ.

დღესვე იგრძნო იმერეთის სამღვდლოებამ, თუ რა სამძიმოდ დაურჩა მათ მათი დეპუტატების განჩინება დასაწყისი მოსამზადებელი კლასების დახურვის შესახებ. ცოტა გამჭირაობა რომ ჰქონოდა სამღვდლოების დეპუტატებს, ასეთ განჩინს არ დაადგენდნენ. დეპუტატებმა გადაწყვიტეს დასაწყისი და მეორე მოსამზადებელი კლასების დახურვა. მაგრამ, მადლობა

დმერთს, რომ კრების მეორე დღეს მოვიდნენ ზოგიერთი დეპუტატები, რომელთაც დაუშტკიცეს კრებას ამ განჩინების უარვისობა და იმდენს ეცადნენ, რომ მეორე მოსამზადებელი კლასები ხელახლად დასტოვეს. სამღვდლოების დეპუტატების განჩინი ამ საქმის შესახებ მით უფრო გასაოცარია, რომ სამღვდლოებს ამ კლასების შესანახავად არაფერი არ ეხარჯებოდა: ვინც შედიოდა დასაწყისი მოსამზადებელში, ფულსაც იხდიდა და რაღათ დახურეს ეს კლასები, არ ვიცით. იმედია, რომ სამღვდლოების დეპუტატები ამ თავის შეცდომას შემდეგ კრებაზე გაასწორებენ.

* *

სოფელ ქალიდამ (დაბა ს. ჩხერის მახლობლად მდებარეობს) ჩვენ გვწერენ შემდეგს: ამ სოფელში დღემდის არც სასოფლო და არც საეკლესიო სკოლა არ მოიპოვებოდა. დღეს ადგილობრივი მღვდელმა მ. პლექსი ქურცხალიამ თავისი მცადინეობით და ხარჯით გახსნა სამრევლო სკოლა, რომელშიც ორმოცამდე მოწაფე სწავლობს. მათა შორის ათი ქალი სწავლობს ამ სკოლაში. შმაწვილები, თითქმის, ყველანი ქალელი აზნაურების შვილებია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სკოლას არ გააჩნია არავითარმე საქირო მოწყობილება: სკამების მაგიერად ფიცრებია გადებული და სტოლების ნაცვლად მოწაფეებს წინ უდგიათ თეხიანი სუფრები. სკოლის შენობაც ისეთია, რომ ზამთარში მასში მცადინობა შეუძლებელია. საქიროა, რომ ამ სკოლას რაიმე შეწყობა და დახმარება აღმოუჩინოს იმერეთის ეპარქიალური საეკლესიო-სამრევლო სკოლების ჩრევამ.

* *

დაბა მქუმიდგან გვწერენ: წრევანდელმა წელიწადმა დიდი ზარალი მოუტანა მთელს აფხაზეთს და განსაკუთრებით დაბა ოქუშს. ჯერ იყო და ცეცხლმა გადასწვა ოქუშის მოვეჭრების დუქნები. საბრალო ვაჭრებმა თავიანთი ტანთ-საცმელებიც კი ვერ გადაარჩინეს ცეცხლსა. ცეცხლზე უმეტესად აზარალა პუხაზელები წყლების აღიდებამ. მდინარეების მახლობლად მდებარე დათესილი ყანები მთლად წაილევენ წყლებისაგან, რომელმაც მრავალი მუშა კაცი აატირა და ულუკოდ დასტოვა. მათ დაპირველად აქაურებს იმედი ჰქონდათ, რომ ოდესის ღირსი მანც საყოფად მოვიდოდა, მაგრამ ამ იმედმაც უმტყუნა მათ. მოვიდოდა ამ უბედურებას თან მოჰყვა მუცელ-კეთილი, რომელიც დღეს აქ თითქმის ყველგან არის მოდებული. სენი უმოწყალოდ სწყვეტს ხალხს და კაცი არ არის, რომ მიხედოს ავად მყოფებს. მქიმი თუმცა არის აქ, მაგრამ იგი ისე შორს სცხოვრობს, რომ გაჭირების ღროს ყველას არ შეუძლია მიმართოს მას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე.

მოთხრობა სამ ბასათხრობარ ძალზე.


(რუსულიდან).

ქალაქს ბატონში სცხორებდა ერთი კაცი, რომელმაც სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევათა გამო დაჭკარვა სიმდიდრე და შთავარდა უკიდურეს სიღარიბეში. ამ კაცს ჭეჭანდა სამი მშვენიერი გასათხრობარი ქალი, რომელთა სიმშვენიერე მთელს ქალაქში იყო განთქმული. უბედური მამა ითმენდა შიმშილსა. ბოლოს ამ კაცმა განიზრახა თავის ქალების ბატონებისა და უმანკობის შებღაპვა, რომ ქალების სიმშვენიერით მოეპოვებინა სასწრაფო როგორც თავისათვის, ისე თავის ქალებისათვის. როცა კი უბედური მამა შეუდგა თავის ღიბების დამამტკიცებელი განზრახვის აღსრულებასა, მაშინ კაცთ-მოყვარე უფაღმან მოულოდნელად მოუვლინა მას მსხნელი. წმიდა ნიკოლოზმა გაიგო ამ კაცის უკიდურესი მდგომარეობა და დაიფარა იგი ცოდვისა და შერცხვენისაგან. წმიდა ნიკოლოზს არ სურდა, რომ სხვისდა შესხედავად აღმოეჩინა უბედური მამისათვის ნიკთიერი შემწეობა, ამიტომ იგი შუადამიხას ფარულად მივიდა ქალის ფანჯარასთან და შიგ გადაგდო ოქროთი საკსე ქისა. ასე მოიქცა წმ. ნიკოლოზი შირველად იმისათვის, რომ აღესრულებინა მცნება მაცხოვრისა, რომელიც იტყვის: იყოს ქველის საქმე შინი ფარულად, და მამამან შინმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შერ ცხადთ, და მეორე იმისათვის, რომ ცხადის მოწველებით არ შეარცხვინოს ის კაცი, რომელიც შირველად თვით მდიდარი იყო, და, შეიძლება თვითონაც აძლევდა შემწეობასა და მოწველებასა სხვათა. დილით გაიღვიძა-რწა ღარბი ქალში მცხოვრებმა, თვალწინ დაინახა ოქროთი საკსე ქისა; მას ეკონა, რომ იგი ვითომც სიზმარში სედავდა ამას და შინამდის არ დაწმუნდა, ხანამ თითო-თითოდ არ გადათვალა ოქროს მანათები. ამ მოწველებისათვის სინაწრულით და ცრემლებით შესწირა მადლობა ღმერთსა და თავის უფროსი ქალი გაათხროვა, რომელსაც საკმაო მზითუვიც მისცა.

მამის ასეთი საქციელი ძალიან მოეწონა წმ. ნიკოლოზს, რადგან სამოწალო მისი სურვილისა შებრქმენ დასარწმუნო და საბჭალო ქალები გადაჩენ წინაობის დამამტკიცებელ საქციელს. შემდეგ ამისა წმ. ნიკოლოზმა ხელ-მეორედ საიდუმლოთ, როგორც შირველად, გადაუგდო ფანჯარიდან კიდევ ოქროთი საკსე ქისა მეორე ქალისათვისაც. დილით გაიღვიძა მამამ და როცა ოქრო დაინახა, თავს-შარი დაეცა საკვირველებისაგან, დაუარდა მიწაზე. ჭკრიდა თვალთაგან ცრემლებსა და ამბობდა: «მოწალო უფალო, სისხლითა შენითა გამომსხნელი ხვეწნა! შენ აწცა კვალად გვიხსნი მე და ქალთა ჩემთა ოქროთითა, რომელსაცა გაძლევს უცნაური კეთილის მყოფელა! მახვეწე მე ეს ქვეყნიური ანგელოზი, რომელიცა გვიფარავს ჩვენ ცოდვისაგან, გამოვეყვართ სიღარიბისაგან და გვიხსნის ცუდ განზრახვათაგან». მოსვტებულმა მამამ აიღო და ამ შემწეობით გაათხროვა მეორე ქალიც და მტკიცეთ იყო დაწმუნებულია, რომ სელი განგებულებისა არ დაუტკეებდა მესამე ქალსაც უნუგეშოდ და ამიტომ ღმერთს უბილოთ ატარებდა და ელოდა მისი საიდუმლო კეთილის-მყოფელის მოსვლას.

მისი მოლოდინი აღსრულდა: ერთ ღამეს ხელახლა გაიღო ფანჯარა და უცნაურსა ხელმა გადაგდო ქისა და ოქრომ დაინახუნა ქალის იატაკზედ. საცოდავი ღატაკი მაშინვე დაეკენა თავის კეთილას მყოფელს, დაწია მას და იცნა წმიდა ნიკოლოზი, დაეცა ფეხთა ქვეშე მისთა, ეამბორობდა მთხედა და ცრემლთა დენით ჭმადლობდა და უწოდებდა მას მსხნელად თავის სასალოდისა, მაცხოვრებელად წარწეულისაგან სულთა მოყვასთა. «უკეთუ მოწალო ღმერთს დროით არ მოვევლინე შენ ჩვენთვის, ეუბნებოდა იგი წმ. ნიკოლოზს, ესეკვლად რა მუსლთა შედა სთინო მყოფელსა ღვთისასა, მე დავადუშებოდი ცეტსლას შინს სოლომისასა და ესეკე შემთხვევოდ ჩემს სამს ქალს». წმიდა ნიკოლოზმა აყენა იგი მიწიდან და სიტყვა ჩამოართვა, რომ ეს გარემოება აწვის უთხრას, კიდრემდას მასა კეთილის-მყოფელი ცოცხალი იქნება.

ივლიტა ჭაბბევი



რედაქციის პასუხი.

- რაჭაში სოფლებს. მაგისტანა ხელის-მწერა დასაბეჭდ სუტაზედ არ გმარა. თქვენ ყველა მედავიით-ნეთ ენებით და თავის გინაობას კი მა-ლაკო.
- სიმონ ცინცაძეს. თუ მრევლი ათას სულოს არ აღემატება, იქ ერთი მღვდლისა და ერთი მედავიონის მეტი არ არის საჭირო კანონით, მაგრამ კანონი ყველგან ერთ-ნაირად არ სრულ-დება...
- მამა მჭ—მეს. რაც საინტერესოა თქვენს მოგზაურობაში, ისინი დაბეჭდილნი არიან «მწყემსში» წი-ნათ და ერთისა და იგივეს დაბეჭდვა თავს მოახერხებს მკითხველებს.
- ელ. კან—კს. თქვენი ბიოგრაფია საინტერესო არ არის ჩვენი მკითხველებისათვის და ამიტომ არ იბეჭდება.
- ო. ლონ—მეს. სხვისი დაწერილი ღვექსების გადასწორება ძლიერ სახელოდ მიგვაჩნია და ამიტომ არ იბეჭდება.
- მღვდელს მ. გ—ს. თქვენი ეპისტოლეე, გირჩევთ, რომელიმე საოხუნჯო გაზეთის რედაქტორს გაუგ-ზავნოთ და მაღლობს შემოგწირავს...
- ფილანტროფს. ნამდვილ მართალს ამბობთ და ყველას-ფერში გეთანხმებით, მაგრამ ისეთ დროში ვართ, რომ მართლის თქმაც ბევრს დაა-შავებს. იმედია, კერძო პირების ბოროტუ-ბა მთავრობისაგან შენიშნულ იქნება და მოისპობა. ძირიანად ბოროტების აღმო-ფხვრას და ყველგან კეთილი დროის და-არსებას ამ ქვეყნაზე ნუ ელით!...
- მღვ. ნ. ბაკ—მეს. სწორეთ ახირებულ კითხვებს იძლევით! პირის-პირ გზნავთ როდისმე და აგინსებით, თუ რისი მამასწავებელია გრძელი წვე-რი...
- მღვ. დ. ლ—მეს. აგრე ნუ დაკარგავთ სასოებას. სხვა ი-მეც დასწერეთ, იქნება იგი შეიქნეს ღირსი დაბეჭდვისა.
- მ. კ. გ—თა. დრამას და ფულით საჩუქარს უწინაც კი იღებდენ მღვდლები, მაგრამ სამწყსონი კარგად უყურებდენ თავიანთ მღვდლებს და უკეთესი განწყობილებაც იყო მოძღვარ-მოწაფეთა შორის და ამიტომ არ ვეთანხ-მებით თქვენს მოსაზრებას.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

შვირილის კერძო სასწავლებელი ამ.თ. აღცხადებს, რომ სწავლა ამ სასწავლებელში დაიწყო 1 სექტემბრიდან.

მიზანი ამ სკოლისა, როგორც აქამდე, ისე შემდეგშიაც ის იქნება, რომ მოამზადოს ბავშვები ყოველგვარი სასწავლებლისათვის: გიმნაზიისათვის, სასულთიერო და სამოქალაქო სასწავლებლისათვის და სხვა ყოველგვარი სკოლებისათვის. შევლაზედ უფრო მივაქცევთ სამღვდლოების ყურადღებას, რადგანაც მათთვის აუცილებლად საჭიროა ბავშვების მომზადება მოსამზადებელი განყოფილებების დახურვისა გამოსასულთიერო სასწავლებელში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ არ ჩავარდებით ყმაწვილების დედ-მამის საყვედურში, რადგანაც ჩვენი თავი გამოვსცადეთ და დაინახეთ საკმაოდ ძალ-ღონე და ნიჭი, როგორც თერთონ ბ. სახალხო სკოლების დირექტორმა დაათხა ჩვენი შრომა და სინიღისიანად საქმის წაყვანა. ამასთანავე დიდს იმედს და შემწეობას ეხედავთ კარგად საქმის წაყვანისათვის, რადგანაც საღმთო სჯულის გაკვეთილებს მიცემა ისურვა მისმა მაღალ ღირსებამ მ. დეკ. ლავით ლამბაშიძემ.

სასწავლო ქირა შეეამტკირეთ, რადგანაც წარსულ წელში სკოლის რამოდენიმე ნივთები შევიძინეთ და თავისუფალი გაეხდით; თვეში თითო ბავშვზე იქნება ორი მანეთი და ათი თეთის ანგარიშით 20 მ.

სკოლის დამაარსებელი რაფიელ ჩხვაცაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი : რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენ მხარეში სწავლის საქმე?—ძველი და ახალი ზნე-ჩვეულებანი ჩვენი ხალხისა.—საქართველოს საექსპანსიონის ეკლესიების და მონასტრების დათვალიერება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, მთავარ-ეპისკოპოსის პაღლადისაგან.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენციები.—წერილი რედაქტორთან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოთხრობა სამ გასათხოვარ ქალზე.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. Доз. цензурою Кутаись, 14 Сентября 1888 г.

საკუთარი მსწავლ-მეჭდავი რედაქციისა.